ჯანდაცვის დაფინანსების ალტერნატიული გზები საქართველოში

ნინო ჯანაძე

ეკატერინე თავბერიძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ჯანდაცვის მენეჯმენტში ბიზნეს ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

სამაგისტროპროგრამა "ჯანდაცვისპოლიტიკადამენეჯმენტი"

სამეცნიერო ხელმძღვანელი: თეიმურაზ ბარკალაია, ჯანდაცვის ადმინისტრირების დოქტორანტი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2014

განაცხადი

„როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.“

ნინო ჯანაძე

ეკატერინე თავბერიძე

თარიღი:15.06.2014

აბსტრაქტი

წინამდებარე სტატია წარმოადგენს სამედიცინო შემნახველი ანაბრების, როგორც ჯანდაცვის ინოვაციური დაფინანსების სისტემის საერთაშორისო გამოცდილების კვლევას. კვლევის პირველ ნაწილში განხილულია ეს მეთოდი, თუ როგორ ხორცილედება იგი პრაქტიკაში სხვადასხვა ქვეყნების მაგალითზე (სინგაპური, აშშ, ამხრეთ აფრიკა და ჩინეთი). სტატიის ძირითადი ნაწილი მოიცავს კვლევას და მისმიზანს წარმოადგენს თუ რამდენად მოსახერხებელი იქნებაამ მეთოდის ინტეგრირება საქართველოში როგორც ჯანდაცვის დაფინანსების ალტერნატიული გზა. წარმოდგენილი იქნება კვლევის მეთოდოლოგია და მიღებული შედეგების ანალიზი. არსებული ლიტერატურისა და გამოკითხულ ექსპერტთა გამოკითხვის შედეგების ანალიზის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ რომ, მეთოდის დანერგვა იქნება საკმაოდ რთული, ამ საკითხზე აუცილებელია მასშტაბური სამუშაობების ჩატარება, შესაბამისი ბაზრის გამოკვლევის ფონზე, საქართველოს სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობის გათვალისწინებით.

მადლობა

სამაგისტრო თემაზე მუშაობისას გაწეული დახმარებისთვის და ნაშრომის შექმნაში შეტანილი წვლილისთვის მადლობას ვუხდით ჩვენს ხელმძღვანელს, ჯანდაცვის ადმინისტრირების დოქტორანტს, ბატონ თეიმურაზ ბარკალაიას.

ასევე მადლობას ვუხდით ილიას სახელმწოფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის სადოქტორო პროგრამის „ჯანდაცვის პოლიტიკა და მენეჯმენტი“ დოქტორანტს, მაგდა ასათიანს.